707 № 10488


# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 7 ივლისი, 1990 წელი ● № 28 (2905) ● СУББОТА, 7 ИЮЛЯ 1990 г.


## „რა ენა წახდეს...“

არც თუ დიდი ხნის წინ გამოქვეყნდა პრესის ფურცლებზე ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა. თითქოს უჩვეულო არაფერი იყო ამაში. ყოველი ერის სახელმწიფო ენად მშობლიური ენა უნდა იყოს აღიარებული. მაგრამ მდგომარეობა სულ სხვაგვარი აღმოჩნდა. აღნიშნული პროგრამის განხორციელებას რესპუბლიკის მასშტაბით დღემდე წინააღმდეგობა ხვდება. სხვადასხვა დროს, სხვათა და სხვათა მიერ დაშვებული უხეში შეცდომების მიზეზით.

ჯერაც ბევრს ვერ დაუვიწყნია ადრე არსებული ტრადიცია. საქმეების წარმოება რუსულ ენაზე ხდება, მომსახურე პერსონალთა ნაწილი რიგ ორგანიზაციებში ვერ ფლობს ელემენტარულ სალაპარაკო ქართულს. ვერ წერს, ვერ კითხულობს და ა. შ. და ა. შ. მაგრამ მადლობა ღმერთს, მათ გვერდით მრავლად არიან ისეთები, რომელთა სამოქმედო პრინციპად ილიას ბრძნული სიტყვები ქცეულა. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“....

26 ივნისს საქართველოს შსს გს სამმართველოს უფროსთან გამართულ ოპერატიულ თათბირზე, სწორედ ქართული ენის სახელმწიფო პროგამის შესრულების მიმდინარეობის საკითხი განიხილეს. ამ მხრივ სამმართველოს ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული. თუ უი123/3, 12, 29, 34, 11, შაკ და უტ 1-ის მაგალითებზე ვიმსჯელებთ დავრწმუნდებით, რომ აქ ქართული ენის შესწავლის მსურველ არაქართველთა რაოდენობა მრავლადაა. ამ მიზნით შექმნილია ქართული ენის შემსწავლელი კურსები, სულ 12 ჯგუფი. დაწესებულებებში 123/3, 34, 37 და შაკ ამ საკითხების გადაწყვეტაში აქტიურ მონაწილეობას იღებს დაწესებულებებთან არსებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები, რომელთა უმრავლესობამ საზოგადოებრივ საწყისებზე იკისრა ქართული ენის განმანათლებლის მისია. ენთუზიაზმს და სურვილს უკვალოდ არ ჩაუვლია. ერთი წლის მანძილზე დაწესებულება 123/3-ში უფროსები ომაროვი და ახმედოვი დოკუმენტაციას ქართულ ენაზე ქმნიან, ასევე ქართულ ენაზე ხდება საქმეების წარმოება 34-ე დაწესებულების სპეცნაწილში. (უფროსი შ/ს მაიორი ე. სმირნოვა.) ქართულ ენაზე ხდება შემოსულ საჩივარ განცხადებებზე რეაგირება, ქართულ ენაზე იწერება ხელმძღვანელთა ბრძანება — განკარგულებები. ამასთანავე გამოჩნდნენ ცალკეული ენთუზიასტები მსჯავრდებულთა შორის. მაგალითად მე-3 კოლონიის მექსიკელმა მსჯავრდებულმა ხორხე პორტილიასმა გამოთქვა სურვილი, ქართული ენის შესწავლის.

გამასწორებელ საქმეთა დაწესებულებებს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში დახმარებას უწევს მრავალტირაჟიანი გაზეთი „შრომითი ცხოვრებისათვის“, სადაც შემოღებულია მუდმივი რუბრიკა — „ვილაპარაკოთ ქართულად.“

და მიუხედავად გაკეთებულისა, გასაკეთებელი ჯერაც ბევრია, რამეთუ ზოგისთვის არ ქცეულა ქართულის ცოდნა ვალდებულებად. ქართული ენის შემსწავლელი წრეები დღემდე არ ფუნქციონირებს დაწესებულებებში. უი 123/39, 37, და უტ 123/1, რასაც ხელმძღვანელი მუშაკები სხვადასხვა მიზეზით ხსნიან. თუნდაც იმით, რომ თანამშრომელთა ძირითადი ნაწილი ქართველია ან მომუშავე არა ქართველები მშვენივრად ფლობენ ქართულს. და ეს მაშინ, როცა დაწესებულება უი 123 (44-ში) უფროსი რ. ლეკიშვილი, მოადგილე პოლიტდარგში შ. ბითაძე), ხელფასების უწყისი რუსულ ენაზე ივსება. კადრების განყოფილებაში კი საქმეების წარმოება რუსულენოვანია, გასაახლებელია როგორც საკანცელარიო, ისე სპეცნაწილის ყველა რუსულენოვანი შტამპები. ანალოგიური სიტუაციაა შრომა-აღმზრდელობით კოლონიაშიც ალბათ დროა იფიქრონ ქართული ენის შემსწავლელი კურსების არარსებობაზე ქალთა № 12 დაწესებულებაში. (უფროსი მ. ლეინაძე, მოადგილე პოლიტდარგში მ. გელბახიანი), აქ ხომ ათეული წელია ფუნქციონირებს საკმაოდ კარგი ტრადიციების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და ისეც რომ არ იყოს ოფიცერ ქალთა უმრავლესობა აქ ფილოლოგიური განათლებითაა.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ რიგ დაწესებულებებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიისა და კულტურის საკითხების ლექცია-პროპაგანდა.

ამასთანავე ამ საქმეს სრულფასოვნად ვერ ემსახურება დაწესებულებათა ბიბლიოთეკები, რომელიც მიუხედავად შევსებისა, დღემდე განიცდის ქართულენოვანი წიგნების ნაკლებობას. ამდენად პრობლემები ჯერ კიდევ მრავლადაა, მაგრამ იმედია გამასწორებელ საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელობა მაქსიმალურს გააკეთებს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის კონსტიტუციური უფლებების დასამკვიდრებლად..

**ხ. ხარაბაძე**
გამასწორებელ საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე, შ/ს პოდპოლკოვნიკი.

## ოფიციალური ინფორმაცია

1990 წელს დილის 10 საათზე, მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა შეუდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა. ყრილობა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

აზრთა გაზიარების შემდეგ დელეგატებმა აირჩიეს ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები — პრეზიდიუმი, სამდივნო, სარედაქციო, სამანდატო კომისიები.

ყრილობამ განიხილა დელეგაციების წარმომადგენელთა თათბირის მიერ შემუშავებული დღის წესრიგი და დამატებათა გათვალისწინებით დაამტკიცა იგი შემდეგი სახით: ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში, სკკპ XXVIII ყრილობისადმი და პარტიის ამოცანები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში, სკკპ ბიუჯეტი და ქონება, სკკპ XXVIII ყრილობის საპროგრამო განცხადება „ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ“, სკკპ წესდება, სკკპ ცენტრალური კომისიის დებულება. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები, სკკპ XXVIII ყრილობის რეზოლუციები, განცხადებები და მიმართვები.

შემდეგ დაამტკიცეს ყრილობის მუშაობის რეგლამენტი. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა.

1990 წლის 5 ივლისს მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ.

ყრილობის წინა სხდომაზე შექმნილ სექციებში მიმდინარეობდა დისკუსია პარტიის ორგანიზაციულ-პოლიტიკური განახლების, მისი იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფის, საბჭოებთან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებთან და მოძრაობებთან ურთიერთობის საკითხებზე.

დიდი დაფიქრებით, აწონ-დაწონილად განიხილავდნენ თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის საკითხებს.

მწვავე პოლემიკა მიმდინარეობდა გარდაქმნის პერიოდში პარტიის სოციალურ-ეკონომიკური და აგრარული პოლიტიკის პრობლემებზე.

ყოველმხრივ განიხილეს და ღრმად გააანალიზეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობა, რომლის მიზანია საზღვარგარეთის პროგრესულ პარტიებთან და მოძრაობებთან მისი ურთიერთობის განვითარება და განმტკიცება.

დელეგატთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებსა და წინადადებებს განიხილავენ ყრილობის პლენარულ სხდომაზე.



2 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ.

სურათზე: საქართველოს დელეგაციათა ერთი ჯგუფი.

ი. დავითაშვილის ფოტო.

## На оперативном совещании руководящего состава МВД ГССР

**25 ИЮНЯ** состоялось оперативное совещание руководящего состава МВД ГССР, которое провел министр внутренних дел республики генерал-лейтенант в/с Ш. Горгодзе.

На совещании с информацией о состоянии оперативной обстановки в республике за 24 дня июня т. г. выступил начальник оргинспекторского отдела министерства полковник милиции К. Буджиашвили.

Было отмечено, что за указанный период обстановка в республике продолжала оставаться сложной, хотя темпы прироста преступности по сравнению с первым кварталом нынешнего года уменьшились. В структуре и динамике правонарушений отмечается рост преступлений против личности и имущественных преступлений. Возросло число убийств, телесных повреждений, краж государственного и личного имущества. Увеличилось число угонов автотранспорта, число дорожно-транспортных происшествий, в том числе и со смертельным исходом, возросло на 21,9 процента.

В соответствии с принятыми на заседании решениями поручено:

— руководству УУР (начальник — полковник милиции Г. Шаламберидзе), УООП (полковник в/с Г. Бичашвили) и УПС (полковник милиции Л. Горгодзе) совместно осуществить мероприятия профилактического характера, направленные на предотвращение убийств, преступлений против жизни и здоровья граждан, других тяжких видов преступлений;

— УУР и УО (полковник милиции Г. Кварелашвили) принять соответствующие меры по усилению борьбы с имущественными преступлениями;

— первому заместителю министра внутренних дел республики генерал-майору в/с В. Шадури активизировать работу оперативного штаба по изъятию огнестрельного оружия;

— заместителям министра внутренних дел республики генерал-майору милиции Т. Сидамонидзе и полковнику милиции Б. Чантуришвили, руководству УУР, УБХСС (полковник милиции Г. Патарая), других служб активизировать работу по изъятию огнестрельного оружия, похищенного в подразделениях ОВД и других организациях и учреждениях, осуществлять координацию действий по выявлению преступных групп, уделив особое внимание фактам вымогательств в особо крупных размерах, совершаемых дельцами в экономике и других торгово-хозяйственных сферах;

— руководству УГАИ (полковник милиции Г. Цинцадзе) ориентировать личный состав подразделений автоинспекции на выявление автомашин без номеров и принятие жестких мер в отношении нарушителей.

На оперативном совещании была заслушана также информация заместителя министра внутренних дел республики подполковника в/с Ю. Ермолаева о ходе реализации решений Совета Министров Грузинской ССР от 15 ноября прошлого года.

## НАЗНАЧЕНИЯ

**ПРИКАЗОМ министра внутренних дел Грузинской ССР назначены:**

— на должность начальника отдела внутренних дел исполкома Зугдидского горрайсовета народных депутатов полковник милиции **Лония Владимирович Джоджуа**;

— на должность начальника Зестафонского РОВД майор милиции **Амиран Отарович Аревадзе**;

— на должность начальника Ванского РОВД майор милиции **Демури Николаевич Баджадзе**;

— на должность начальника отдела Управления уголовного розыска МВД ГССР подполковник милиции **Рубен Давидович Асанидзе**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განვიხილავთ კანონპროექტს

## შენიშვნები და წინადადებები საბჭოთა მილიციის შესახებ კანონპროექტის ირგვლივ

**საკმაოდ** დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ხელთა გვაქვს საბჭოთა მილიციის შესახებ კანონპროექტი, რომლის მიმართაც მინდა გამოვთქვა შენიშვნები და წინადადებები.

1. კანონპროექტის განყოფილებები უკეთესი იქნებოდა განლაგებული იყო შემდეგნაირად: განყოფილება I. — ზოგადი დებულებანი; განყოფილება II. — მილიციის პირადი შემადგენლობა; განყოფილება III. — მილიციის მოვალეობანი და უფლებები, რომელშიც უნდა გაერთიანდეს არსებული პროექტის III განყოფილება „სპეციალური საშუალებების და იარაღის გამოყენება"; განყოფილება IV. — მილიციის საქმიანობაში კანონიერების განხორციელებისადმი ზედამხედველობა.

სხვაგვარად გამოდის, რომ ჯერ ყველაფერზეა ლაპარაკი, შემდეგ კი მილიციის პირად შემადგენლობაზე. ცალკე თავშია მოცემული მილიციის მოვალეობანი და უფლებები, ცალკე კი სპეციალური საშუალების და იარაღის გამოყენება, ამ ორი განყოფილების შეერთება მოგვცემდა საშუალებას, რომ თავში, სადაც ლაპარაკია მოვალეობებსა და უფლებებზე გაგვეერთიანებინა სპეცსაშუალებების გამოყენება, რადგანაც იგი მილიციის უფლებების ნაწილია.

2. პირველი განყოფილების პირველი მუხლის მეორე აბზაცი, სადაც ნათქვამია „მილიციის მუშაკებს აქვს სპეციალური წოდება, განმასხვავებელი ნიშნები და ფორმის ტანსაცმელი" სასურველი იქნებოდა გადატანილიყო განყოფილებაში „მილიციის პირადი შემადგენლობა".

3. აუცილებლად მეჩვენება, რომ კანონმა ცალკე მუხლით პირველივე განყოფილებაში გამოყოს შემდეგი: „მილიციის თანამშრომელი არის ხელშეუხებელი პირი, მის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ღირსებას მკაცრად იცავს კანონი. მილიციის თანამშრომლის მოთხოვნის შესრულება, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის აღკვეთასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან, სავალდებულოა ნებისმიერი მოქალაქისათვის".

4. პროექტის მეორე მუხლის ბოლო აბზაცში ნათქვამია: „არავის, გარდა ორგანოებისა და კანონით პირდაპირ უფლებამოსილი თანამდებობის პირებისა, არ აქვს უფლება ჩაერიოს მილიციის მოღვაწეობაში მისი მოვალეობის შესრულებისას".

გაურკვეველია რომელ კანონზეა აქ ლაპარაკი და რომელი თანამდებობის პირებია ნაგულისხმევი.

5. მე-4 მუხლი არეგულირებს მილიციის მოღვაწეობის საჯაროობას, სადაც პირველი ნაწილი ლაპარაკობს, რომ იგი არის საჯარო, მეორე ნაწილში ნათქვამია რომ მილიცია ინფორმაციას უკეთებს საზოგადოებას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ, ხოლო იქვე, მესამე ნაწილი ლაპარაკობს, რომ არ შეიძლება საიდუმლოების გამოაშკარავება გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

არასწორად მეჩვენება ერთსა და იგივე მუხლში საჯაროობისა და საიდუმლოების დაცვის დაწესება, იქ სადაც საიდუმლოებაა საჯაროობა არ არსებობს და პირიქით. უკეთესი იქნებოდა კანონს პირდაპირ ეთქვა: „მილიციის მუშაობაში საჯაროობას ექვემდებარება ინფორმაცია მართლწესრიგის მდგომარეობასა და მისი განმტკიცების საკითხების შესახებ, ხოლო სასამსახურო საიდუმლოების საკითხები რეგულირდება სსრკ მინისტრთა საბჭოსა და სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული ნორმატიული აქტებით, რომლის გამჟღავნება იკრძალება".

6. პროექტის მე-5 მუხლი აწესებს მილიციის მოღვაწეობის სამართლებრივ საფუძვლებს, როცა კონსტიტუციებისა და კანონების გარდა, ამ საფუძვლებს შეადგენს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებები. კი მაგრამ კანონის მიღება რატომ გვინდოდა? ეს ხომ ადრეც ასე იყო. ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებები ხომ კანონი არაა? ჩვენ ამ უკანონო კანონებმა დაგვღუპეს, როცა გვგმაც კანონი იყო, თუ კანონს ვღებულობთ მილიციის შესახებ, მაშინ კანონითვე განვუსაზღვროთ მათ სამართლებრივი საფუძვლები და არა ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებით. ამავე დროს ისიც კი არაა ნათქვამი, რომ „ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეეხებიან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს-ო" თუ ეს არ ითქვა, მაშინ საბჭოები, არ გაითვალისწინებენ კანონის (ამ შემთხვევაში კანონპროექტის) მეორე მუხლის მოთხოვნებს და მილიციას შეიძლება დაავალონ სამეურნეო საქმეებიც, რომლის მაგალითებიც საკმაოდ მოგვეძებნება.

7. პროექტის მე-6 მუხლით თუ ვიმსჯელებთ, სახალხო დეპუტატთა საბჭოები ახორციელებენ მილიციის მუშაობისადმი კონტროლს (გარდა სისხლის სამართლის პროცესუალური და ოპერატიულ სამძებრო მოღვაწეობისა) ხოლო სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი ახორციელებს მთელი მილიციის მუშაობის ხელმძღვანელობას ე. ი. ერთი ხელმძღვანელობს, მეორე აკონტროლებს, როგორღა უნდა იყოს ერთმანეთში შერწყმული ხელმძღვანელობაც და კონტროლის უფლებაც.

8. პროექტის მე-7 მუხლი ითვალისწინებს საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროების კომპეტენციის გამიჯვნას, აქ საჭიროდ მიმაჩნია, რომ ერთობლივ წარმოებას მიეკუთვნებოდეს რკინიგზის, საჰაერო და წყლის ტრანსპორტის მილიციის მართვა, ე. ი. დაინერგოს ორმაგი დაქვემდებარების პრინციპი. სხვანაირად რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო მილიცია მოწყვეტილი იქნება რესპუბლიკის ცხოვრებიდან, ასევე უნდა გადაწყდეს საკითხი, რომ საშუალო და უფროს მეთაურთა შემადგენლობამ კვალიფიკაცია აიმაღლოს რესპუბლიკურ სასწავლო ცენტრებში. ეს დაზოგავს სამგზავრო და სამივლინებო ხარჯების დიდ ნაწილს. გარდა ამისა, ნუთუ რესპუბლიკაში არსებული უმაღლესი სკოლის ბაზაზე ძნელია ასეთი კურსების ორგანიზება?

9. მე-8 მუხლის თანახმად, მოქალაქენი ვალდებულნი არიან ყოველმხრივ აღმოუჩინონ დახმარება მილიციას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.

ისმის კითხვა: აკისრია თუ არა მოქალაქეს პასუხისმგებლობა, თუ იგი არ ასრულებს ამ მოვალეობას? გარდა მორალურისა, როგორი ზემოქმედება შეიძლება იქონიოს კანონმდებელმა სეირის მაყურებელ მოქალაქეზე? ხომ არ აჯობებდა დაწესებულიყო, რომ მოქალაქენი, რომლებსაც შეეძლო დახმარება აღმოეჩინა მილიციისათვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, პასუხს აგებენ უმოქმედობისათვის როგორც მორალურად, ასევე მატერიალურად (ჯარიმის სახით) სხვა შემთხვევაში, მოვალეობის განსაზღვრას კანონში, რომელიც პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს აზრი არ აქვს.

10. მეორე განყოფილების მე-4 მუხლში, სადაც ლაპარაკია მილიციის მოვალეობებზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ქუჩებში, მოედნებზე, პარკებში, სატრანსპორტო მაგისტრალებზე, აეროპორტებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებზე, უკეთესი იქნებოდა თქმულიყო: „ქალაქებში, დასახლებულ პუნქტებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში", სხვაგვარად გამოდის, რომ სოფლებში, სადაც არაა არც ქუჩა, არც მოედანი, წესრიგის დაცვა სავალდებულო არაა.

11. იგივე განყოფილების მე-5 მუხლში, სადაც ლაპარაკია საკუთრებათა დაცვის შესახებ, აუცილებელია ჩაიწეროს რელიგიური ქონების ხელყოფისაგან დაცვა. სახელმწიფოს და ეკლესიის გაყოფა არ ნიშნავს ჩვენი ისტორიის ნაწილის უკუგდებას. საეკლესიო ქონება ხალხის ისტორიის კუთვნილებაა და მისი ხელყოფა უნდა ისჯებოდეს კანონის მთელი სიმკაცრით. საზოგადოებისათვის მრავალსაუკუნოვანი ხატის დაკარგვა უფრო მტკივნეულია ვიდრე ვიტრინის შუშის გატეხვა.

12. იგივე ნაწილის მე-6 და მე-7 მუხლები უკეთესი იქნება თუ გაერთიანდება. სადაც ლაპარაკია დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე, იქვე გათვალისწინებული უნდა იყოს მასზე რეაგირებაც.

13. მეორე განყოფილების მეორე ნაწილში უფრო მისაღებია ამ ნაწილის II ვარიანტი.

14. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს კანონმდებელმა არ იცის, რომ ჩვენი მილიციის განყოფილებები არ არიან უზრუნველყოფილნი თანამედროვე კომპიუტერებით და სხვა ოპერატიული ტექნიკით, როცა აწესებენ, რომ მოქალაქის დაკავება მილიციაში ან სხვა სასამსახურო შენობაში შეიძლება სამი საათის განმავლობაში. ამ ძველი წესის ხელახლა გადმონერგვა არაა საჭირო. პრაქტიკა ამტკიცებს, რომ სამი საათი ყოველთვის არაა საკმარისი, რომ ძირფესვიანად ჩასწვდე ადმინისტრაციული სასჯელის ჩამდენ პიროვნებას, მისცე მის ქმედებას ობიექტური შეფასება და შეადგინო სათანადო დოკუმენტაცია. თუ მოქალაქე ცდილობს მილიციის თავგზის აბნევას, არ არის გულწრფელი, მიუხედავად იმისა თუ მას როგორი გადაცდომა აქვს ჩადენილი, მილიციაში უნდა დაკავდეს არა სამი საათით, არამედ რამდენიც საჭიროა სიტუაციის გარკვევისა და დოკუმენტირებისათვის.

15. კანონპროექტში ძალიან ხშირადაა ნახმარი სიტყვები „კანონით დადგენილი წესით", ეს მაშინ როცა ყველაფრის შესახებ კანონები არ არსებობენ. ზოგიერთი საკითხი რეგლამენტირებულია ცალკეული ნორმატიული აქტებით. თუ ინსტრუქციაც, ნორმატიული აქტიც, განკარგულებაც და გადაწყვეტილებაც კანონია, მაშინ რაღა საჭიროა კიდევ ერთი კანონის მიღება? ასე მაგალითად მეორე განყოფილების მე-10 მუხლის მე-10, მე-15, მე-16, მე-18 მუხლებში და ა. შ.

16. მეორე განყოფილების მეთერთმეტე მუხლის ბოლოს, II ნაწილში ნათქვამია: „მილიციის მუშაკებს აქვთ სპეციალური საშუალებების, იარაღის შენახვის და გამოყენების უფლება". აქ კანონმა უნდა გაითვალისწინოს, ამ საშუალებების ტარების უფლებაც და ამავე დროს კონკრეტულად უნდა თქვას სიტყვა „ტაბელური". წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ მილიციის მუშაკს შეიძლება ჰქონდეს ზარბაზანი, ან ნებისმიერი ცივი იარაღი, რომელიც არ შედის მილიციის ტაბელურ შეიარაღებაში.

17. ყველაზე ცხოვრებისეული ამ კანონპროექტში არის მე-4 განყოფილება „მილიციის პირადი შემადგენლობა", მაგრამ ყველაზე ბუნდოვნად ეს ნაწილია გაშუქებული, მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ვიტყვი, რომ ამ ნაწილის 6 მუხლში შეიდგანაა მითითებული, რომ ესა და ეს საკითხი რეგულირდება კანონმდებლობით და არსად არაა მინიშნებული, თუ რომელი კანონმდებლობით. განა ჩვენთან ყველაფერი კანონმდებლობით რეგულირდება? თუ ამდენი კანონი გვაქვს, ალბათ იმიტომაც არ ვიცით კანონები, ანდა კანონპროექტი რატომ უწოდებს კანონს მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს და გადაწყვეტილებებს. ეს ხომ ქვესაკანონმდებლო ნორმატიული აქტებია და არა კანონი.

ნუთუ ძალიან ძნელი იყო ამ განყოფილების მე-14 მუხლში კანონს განესაზღვრა თუ რა ასაკის მოქალაქე შეიძლება მიიღო მილიციაში სამუშაოდ და ა. შ. ეს მუხლი მილიციაში სამსახურის გავლის პირობების და წესის დადგენის უფლებას ანიჭებს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოებს, მინისტრთა საბჭოებს, თუ ამავე მუხლის პირველი ნაწილით ვიმსჯელებთ, სადაც ასაკზე არაფერია ნათქვამი, შეიძლება თბილისში მილიციის ორგანოში სამუშაოდ მიიღო 30 წლის, ბათუმში 45-ის და სოხუმში 47 წლის კაცი. ჩემი აზრით კანონმა და მხოლოდ კანონმა უნდა დააწესოს მილიციაში სამსახურის გავლის მაქსიმალური ასაკი, რომლის მიღწევისას თანამშრომელი უნდა გადავიდეს დამსახურებულ პენსიაზე. თუ ამ საკითხის რეგლამენტირებას კანონი ისევ ინსტრუქციებს, დებულებებს, განკარგულებებს, ბრძანებებს დაავალებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ცხოვრება ისევ ძველი გზით წავა და ძველებურად ყველა რანგის უფროსი იფიქრებს, რომ არსებული წესები მხოლოდ მისი ხელქვეითებისათვისაა და არა მისთვის ძველებურად 70 წლის ხელმძღვანელი გამოუძახებს 50 წლის ხელქვეითს და სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე შესთავაზებს პენსიაზე წასვლას.

იგივე მუხლი მილიციას ავალებს, რომ საკუთარი სიცოცხლეც კი გასწიროს თუ ამას მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესები, მაგრამ რას გვპირდება სიცოცხლის სანაცვლოდ?

ჩვენ იმ თაობის ადამიანები ვართ, ვისაც ჯერ კიდევ გვჯერა, რომ ადამიანი უძვირფასესი კაპიტალია.

18. კანონპროექტის მეოთხე განყოფილების მე-16 მუხლი არეგულირებს მილიციის თანამშრომელთა სამართლებრივი დაცულობის საკითხებს და აცხადებს, რომ მილიციის თანამშრომლები იმყოფებიან სახელმწიფოს დაცვის ქვეშ. კი მაგრამ, განა ჩვენს ქვეყანაში ყველა მოქალაქეს არ იცავს სახელმწიფო და კანონი? განა კანონი არ სჯის ისეთებს ვინც მოქალაქეს აყენებს შეურაცხყოფას, ძალადობას, ემუქრება, ხელყოფს მის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს? თუ მილიციის სამართლებრივი დაცვა გვინდა, კანონმდებელმა უნდა დააწესოს მისი განსაკუთრებული დაცვა და ჩართოს კანონში ეს სიტყვა. მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ მილიციის თანამშრომელი ხელშეუხებელი პირია და მასზე დანაშაულებრივი ზემოქმედებისათვის პასუხს აგებს განსაკუთრებული სიმკაცრით.

19. პროექტის იგივე განყოფილების მე-17 მუხლი განსაზღვრავს მილიციის თანამშრომელთა სოციალურ დაცულობას და აცხადებს, რომ მილიციის თანამშრომლები სარგებლობენ შეღავათებით საცხოვრებელი ფართობის განაწილების, ბინის ტელეფონის დაყენების და ა. შ. შემთხვევაში, მაგრამ იქ წერტილის გარეშე აგრძელებს "იმ წესით, რომელსაც ადგენს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობები და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებები". ამით ის გამოდის, რომ ჩვენ შეღავათებს კი არ ვაკანონებთ, არამედ ადგილობრივ საბჭოებს ვუკანონებთ თავისი გადაწყვეტილებებით დააწესონ მილიციის თანამშრომლებისათვის შეღავათები.

საინტერესოა ძალიან ბევრს წააგებდა საზოგადოება თუ კანონი დაადგენდა მილიციის თანამშრომელთა ურიგოდ მომსახურებას სავაჭრო, სანაზაობრივ და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებზე? სიზუსტის პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ მილიციის ერთი თანამშრომელი ემსახურება ასეულობით ადამიანს და ნუთუ მოქალაქეთა ამ მასამ თავის დამცველს იმდენი პატივი არ უნდა სცეს, რომ ურიგოდ მომსახურების საშუალება მისცენ მას.

იქნებ კანონპროექტი იმას უწოდებს შეღავათს, რომ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 250 ხოლო მილიციელისა კი 200 მანეთამდეა?

რომელ სოციალურ დაცულობაზეა ლაპარაკი, როცა მილიციის მუშაობა შრომის კანონმდებლობით არაა რეგულირებული და ფაქტიურად ინსტრუქციები და დებულებები გვაქვს კანონად აღიარებული?

თუ ჩვენ ვქმნით ახალ კანონს, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ ზედმეტი და ღამის საათებში მუშაობისათვის ზედმეტი ანაზღაურება, შევქმნათ მილიციის თანამშრომელთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის ნამდვილი კანონმდებლობა, როცა მისი მოხსნა-დაქვეითება-დათხოვნა დამოკიდებული იქნება არა ერთპიროვნულ უფროსზე, არამედ კანონზე, როცა მჭედლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის დურგალი არ დაისჯება, როცა მილიციის თანამშრომლის კონსტიტუციით მინიჭებული მოქალაქეობრივი უფლებები არ იქნება შეზღუდული, როცა მისი შრომის და ყოფაცხოვრების პირობები კანონით იქნება რეგულირებული და არა კანონით მინიშნებული რომელიმე არსებული ან არ არსებული ნორმატიული აქტებით და საბჭოების გადაწყვეტილებებით. როცა მილიცია ისე არ იქნება დაბეჩავებული რომ მისთვის ბრძანებაც, ინსტრუქციაც, დებულებაც, წესდებაც, გადაწყვეტილებაც, განკარგულებაც და ა. შ. არ იქნება კანონად აღიარებული. ძლივს კანონმდებელს მილიცია გაახსენდა და მოდით ყველამ ხმა ამოვიღოთ, ყველამ ჩვენი აზრი გამოვთქვათ, იქნებ სრულყოფილი კანონი თუ არა კანონის-მაგვარი რაიმე დოკუმენტი მაინც მივიღოთ.

თუ კანონმდებელმა მილიციის თანამშრომელთათვის შეღავათების დაწესება გადაწყვიტა, მან უნდა დაადგინოს რომ: „მილიციის თანამშრომელთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფისათვის საკავშირო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფენ სპეციალურ ფონდს იმ ანგარიშით, რომ მილიციის ორგანოებში მუშაობის 3 წლის და მეტი სტაჟის მქონე თანამშრომლები უზრუნველყოფილნი იქნან საცხოვრებელი ბინებით და აკონტროლებენ ფულადი სახსრების მიზნობრივ ხარჯვას."

20 მოკრძალებით გამოვთქვამ აზრს მეოთხე განყოფილების მე-19 მუხლის ირგვლივ. სადაც კანონი აწესებს, რომ მილიცია ვალდებულია მოქალაქის მოთხოვნის შემთხვევაში საჯაროდ მოუხადოს ბოდიში. აი ეს „Публично принести извинения", ხომ არ აძლევს მოქალაქეს უფლებას, რომ თუ მისი ინტერესები დარღვეულია, მას ბოდიში მოუხადონ გაზეთის, ტელევიზიის, რადიოს და სხვა საშუალებების გამოყენებით? თუ მილიციის თანამშრომელმა შელახა მოქალაქის ინტერესები, რა თქმა უნდა ბოდიში უნდა მოუხადოს მას, ეს ხომ ეთიკური ნორმაა და განა ღირს კი ამის შესახებ კანონის მიღება?

21. პროექტის 25-ე განყოფილება ადგენს, რომ მილიციის ორგანოების საქმიანობაში კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულების ზედამხედველობას ახორციელებენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მასზე დაქვემდებარებული პროკურორები.

კი მაგრამ რომელ ერთგვაროვან შესრულებაზეა ლაპარაკი? განა საქართველოს მილიციამ და დავუშვათ რუსეთის მილიციამ ერთსა და იგივე დარღვევებზე ერთნაირი რეაგირება უნდა გააკეთონ?

საქართველოსა და რუსეთის კანონები ხომ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და ერთგვაროვანი რეაგირება როგორღა გამოვა?

ამ გაუგებრობის თავიდან აცილებისათვის, აუცილებელია სიტყვა ერთგვაროვანი (**единообразным**) ტექსტიდან საერთოდ ამოვიღოთ.

22. ქართული გაზეთები აგვიანებენ ახალი კანონპროექტის გამოქვეყნებას ქართულ ენაზე. ნუთუ ქართველმა ხალხმა მშობლიურ ენაზე ვერ უნდა წაიკითხოს და არ უნდა იცოდეს ეს მნიშვნელოვანი კანონი?

**ვაჯამებ**, რა კანონპროექტის ირგვლივ პირად შენიშვნებს და წინადადებებს ვასკვნი: კანონპროექტში ახლებურად და საკმაოდ კარგად გაშუქებულია მილიციის მიერ სპეცსაშუალებების და იარაღის გამოყენების წესები, დანარჩენი ნაწილი კი, წარმოადგენს ერთ მნიშვნელოვან სამკითხაო-საძიებელს, რომელიც ამბობს ყველაფერს და ამავე დროს არაფერს.

**თქვენ რას იტყვით ჩემო კოლეგებო?**

**რ. ბრიგალაშვილი,**
მილიციის პოდპოლკოვნიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზებზე მოძრაობას მეტი პასუხისმგებლობა

**51 გარდაცვლილი** და 346 დასახიჩრებული ადამიანი, აი მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგი დედაქალაქის გზებსა და მაგისტრალებზე მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევისა. ეს ციფრები ალბათ შემაშფოთებელია ნებისმიერი ადამიანისათვის და მითუმეტეს მათთვის, ვისაც ის 51 ადამიანი გამოაკლდა როგორც ოჯახის წევრი. *

მართალია, ჩვენს საქმიანობაში გათვითცნობიერებულ მკითხველისათვის გასაგებია რას ნიშნავს 322-51-346 მაგრამ, რახან ამ წერილის მიზანია ფართო საზოგადოების თანადგომა და ბრძოლა ავტოავარიების შემცირებისათვის, კიდევ ერთხელ გავშიფრავთ მას. პირველი ციფრი ნიშნავს თუ რამდენი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა გარკვეული დროის განმავლობაში, გარკვეულ ტერიტორიაზე. მეორე ციფრი აღნიშნავს თუ რამდენი ადამიანი გარდაიცვალა ამ ავარიების დროს, ხოლო მესამე ციფრი დასახიჩრებულთა რაოდენობას გვამცნობს.

ამ წერილის ავტორი ბევრ იმ ავარიათა მხილველია და ალბათ ყოველგვარი ადამიანური გრძნობა უნდა გქონდეს დაკარგული, რომ ავარიის შედეგები ფოტოგრაფიული სიზუსტით თუ არა მიახლოებით მაინც აღწერო. ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა, ალბათ საპატიო დონორი გავხდებოდი სისხლის დანახვის რომ არ მეშინოდესო. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ ავადსახსენებელი ავტოავარიების დროს არა მარტო სისხლის, არამედ, თავის ქალიდან გადმონთხეული ტვინის კვალიც რჩება ხოლმე მიწაზე თუ ასფალტზე... მერწმუნეთ, მართლაც ძნელია ასეთი შემთხვევების მთელი სიზუსტით აღწერა.

დილის 4 საათი და 15 წუთი, გახოკიძის ქუჩა, იგი დღის ნებისმიერ დროსაც თითქმის ცარიელია და ახლა ამ უთენია კაცის ჭაჭანება არა ჩანს ქუჩაზე. ამ დროს ავარიის მოხდენა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ავტომანქანა ჟიგულის მფლობელმა რობერტ სავსიანმა მაინც მონახა გზა ხიფათისაკენ. გადავიდა სავალი ნაწილის უკიდურეს მარცხენა მხარეს და შეეჯახა შემხვედრ ავტომანქანა გაზ-24-ს დამნაშავე მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა.

ჩვენ განგებ შევარჩიეთ (თუმცა აქვე უნდა ვთქვათ, გვერდი ავუარეთ იმ მძიმე ავარიებს რომლის დროს ორი თუ არა ერთი ადამიანი მაინც იღუპებოდა). სხვადასხვა ქუჩაზე თუ მაგისტრალზე მომხდარი სხვადასხვა ხასიათის ავტოავარიები, რომლებიც საბოლოო ჯამში მაინც ერთი პირობის ქვეშ ერთიანდებიან, მძღოლს რომ ყურადღება გამოეჩინა, მძღოლს რომ მოძრაობის წესები დაეცვა, მძღოლი რომ საგზაო ნიშნებსა და მონიშვნებს დამორჩილებოდა... ერთი სიტყვით თავი და თავი მომხდარი ავარიებისა მაინც მძღოლია და ეს უკვე მერამდენედ...

ბევრს ალბათ ავტოინსპექციის მუშაობა დაახლოებით ასე აქვს წარმოდგენილი, დგას იგი ქუჩაში, გააჩერებს დამრღვევ მძღოლს, შეუდგენს ოქმს და მორჩა ამით ყველაფერი. რა კარგი იქნებოდა რომ მართლაც ასე იყოს და მხოლოდ ოქმის შედგენა შველოდეს საქმეს, მაგრამ ვაი, რომ იმ ოქმის შედგენის დროს დიდი ენერგიის დახარჯვა უხდება თითოეულ ინსპექტორს, რატომ? იკითხავთ ალბათ, შეგხვედრიათ მძღოლი, რომელიც დასთანხმებოდეს ინსპექტორს, კი ბატონო დავარღვიე და დამსაჯეო. მგონი არა. პირსაც მეტი რა უნდა აგორდება და მართლაც ბევრ უსიამოვნებას ახვედრებს ხოლმე კეთილსინდისიერ მუშაკს. თუმცა არ შეიძლება აქვე არ ვთქვათ ზოგიერთი ჩვენი მუშაკის სულწასულობაც.

ზემოთ ვთქვით, რომ ავტოინსპექციის მუშაკთა საქმიანობა საკმაოდ რთულია. ჩვენ ხშირად ვაწვდით ხომე საზოგადოებას ცნობებს, რომ ამდენი და ამდენი ავტოავარია მოხდა, ამდენი ადამიანი გარდაიცვალა და სხვა. მაგრამ ცოტამ თუ იცის რამდენ უძილო ღამეებს ათენებენ ავტოინსპექციის მუშაკები, კერძოდ ძებნის ჯგუფის წევრები, რომ ავარიის მომხდენი მიმალული ავტომანქანა იპოვონ და როგორი ძნელი საპოვნია 150 ათას მანქანაში დამნაშავე ავტომანქანა, როცა ყველაზე უკეთეს შემთხვევაში იცი მხოლოდ ავტომანქანის მარკა და ფერი, ზოგჯერ ისიც მიახლოებით.







7 მაისს დაახლოებით 14 საათზე გლდანის მასივის III მ/რაიონში. 68-ე კორპუსთან უცნობი ავტომანქანა დაეჯახა ქვეითს, ფეხმძიმე ქალს, რომელიც თვით დამნაშავე მძღოლმა ჩასვა ავტომანქანაში და საავადმყოფოში წაიყვანა. მაგრამ გზაში რატომღაც გადაიფიქრა და დაზარალებული სხვა ავტომანქანაში გადასვა. საბედნიეროდ დაჯახებისას სხეულის დაზიანება ჯანმრთელობისათვის საშიში არ აღმოჩნდა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, დამნაშავე მძღოლი შეეცადა თავი აერიდებინა სასჯელისათვის. ალბათ აარიდებდა კიდეც, ავტოინსპექციის ძებნის ჯგუფის უფროსს, მილიციის კაპიტანს ტარიელ გლოველს და ამავე ჯგუფის ინსპექტორს მილიციის უფროს ლეიტენანტს ომარ ჩოხელს რომ არ ეყოჩაღათ. თუმცა დამნაშავე მძღოლის პოვნა მართლაც გაუჭირდათ, რადგანაც ცნობილი იყო ავტომანქანის მხოლოდ მარკა და ფერი თუმცა ეს უკანასკნელი როგორც მერე გაირკვა შეცდომით იქნა გადმოცემული. ავტომანქანა მოსკვიჩი — 412 სახელმწიფო ნომერი ა/13-10 გრ ეკუთვნის მოქალაქე ირაკლი გურგენაშვილს, რომელიც ვითომ გასარეცხად გამოიყვანა მისმა შვილმა 15 წლის დავით გურგენაშვილმა და რაც მოხდა თქვენ უკვე იცით.

ეგრეთწოდებული აქილევსის ქუსლი გაუხდა ავტოინსპექციას ფეხით მოსიარულეები და მათგან გამოწვეული ავტოავარიების თავიდან აცილება. დიახ, არ გაგიკვირდეთ, სწორედ მათი მიზეზით მოხდა მიმდინარე წელს 96 ავტო-სატრანსპორტო შემთხვევა. მარტო ივნისის თვეში 22 შემთხვევა აღინიშნა სადაც თითქმის ყველა შემთხვევაში ქვეითი იყო დამნაშავე. როგორც იტყვიან შედეგმაც არ დააყოვნა 3 ქვეითი გარდაიცვალა, 19 კი დაშავდა, სულ ექვს თვეში თავის დაუდევრობითა და სულწასულობით 14-მა ქვეითმა მოისწრაფა სიცოცხლე... როგორც იტყვიან კომენტარი ზედმეტია, თუმცა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ზოგიერთი მოქალაქის უკიდურესობამდე მისული თავხედობა, როცა უსირცხვილოდ გადადის რუსთაველის გამზირზე. ისიც მიწისქვეშა გადასასვლელის თავზე და შენს მითითებაზე აგდებულად გეუბნება, „ნეტავი შენ, მეტი საქმე არა გაქვსო“. დიახაც რომ გვაქვს და კაცმა რომ თქვას სწორედ ადამიანის სიცოცხლის დაცვაა ჩვენი საქმე თორემ ასეთების აღზრდას სულაც არ ვაპირებთ. კიდეც რომ მოვინდომოთ, მაინც არაფერი გამოვა, ძალზე დაგვიანებულია, აბა აღზრდის რა მეთოდები და ფორმები შეიძლება მოიშველიო იმათ მიმართ ვინც მეტრონახევრიანი სიმაღლის ღობეზე გადაბობღდება და ისე გადაირბენს ქუჩას, ფეხით მოსიარულეს ხშირად ეს საქციელი სიცოცხლის ფასად უჯდება.

გვაღარდებს ცალკე ისიც, რომ ამდენი მსხვერპლის შემდეგ არავითარი ნიშანი არ ჩანს, რომ საზოგადოება მხარში ამოგვიდგეს, მოძრაობის თითოეულმა მონაწილემ სისხლხორცეულად გაიხადოს მოძრაობის წესების დაცვა და გაუფრთხილდნენ ერთმანეთის სიცოცხლეს.

თითქმის ყველა საქმიანობის სფეროში არის ეგრეთწოდებული რთული ადგილები და ასეა ჩვენთანაც, კვლავ რთულ პრობლემად გვრჩება სიმთვრალე და ტრანსპორტი. არასდროს არ ყოფილა ქართველი კაცისათვის ღვინო და არაყი დანაშაულის იარაღი და სამწუხაროდ ახლა გახდა. ამის დასტურია 1026 მთვრალი მძღოლი რომელიც ავტოინსპექციის მუშაკებმა ჩამოსვეს ავტომანქანიდან მიმდინარე წლის ექვს თვეში. ეს რაც ნახეს და ვისზეც მოასწრეს რეაგირება ჩვენმა მუშაკებმა. იმ დანარჩენებმა კი როგორც იტყვიან მოსახდენი მოახდინეს, რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს, დაასახიჩრეს და ეს ჩაიდინეს იმისათვის რომ ვერ დათმეს ჯერ ღვინო და მერე ავტომანქანის საჭე.

ჩვენი სამსახური კვლავაც გააგრძელებს დაუნდობელ ბრძოლას მთვრალი მძღოლების წინააღმდეგ და მათ მიმართ რომლებიც არად დაგიდევენ მოძრაობის უსაფრთხოების წესებს.

**რ. ფერაძე**

**ქ. თბილისის შს სამმართველოს ავტოინსპექციის აგიტაცია-პროპაგანდის ჯგუფის უფროსი, მილიციის მაიორი.**

• • •

**სურათზე: 1). ქალაქ თბილისის ავტოინსპექციის უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი ჯ. სხირტლაძე თანამებრძოლებთან ერთად ეცნობიან რეიდების მასალებს. 2). რეიდის დროს. 3). „როცა კარგ ხასიათზე ხარ“.**

**ფოტო ბ. მგალობლიშვილი.**

# НЕ СНИЖАЯ АКТИВНОСТИ

**Недавно, на очередном оперативном совещании руководящего состава МВД Грузинской ССР, в ходе которого с информациями о проделанной работе выступили руководители служб и подразделений ОВД республики, среди многих других вопросов были отмечены активные действия в первом полугодии сотрудников Грузинского управления внутренних дел на транспорте в борьбе с преступлениями по линии уголовного розыска. Наш корреспондент встретился с начальником ГУВДТ полковником Т. Эпиташвили и попросил его коротко рассказать о проделанной коллективом управления работе.**

**ЗА ПРОШЕДШИЕ** с начала года шесть месяцев сотрудниками ГУВДТ достигнуты положительные результаты в борьбе с реализацией наркотических веществ. Было выявлено 39 фактов реализации наркотических веществ, в результате изъято более 50 кг наркотических веществ, в том числе 26 кг коконара, 12 кг анаши, 12 кг марихуаны. Вот несколько характерных примеров: 4 февраля текущего года сотрудниками ОУР ГУВДТ и ЛОВД на ст. Гагра (начальник — майор милиции Р. Чепи-ипа) в поезде Москва — Ереван был задержан житель г. Еревана Артур М., у которого было изъято 24 кг наркотического вещества коконара; 30 июня 1990 г. на батумском железнодорожном перроне (начальник ЛОВД на ст. Батуми—подполковник милиции М. Хомерики) начальником линейного пункта милиции ст. Натанеби майором милиции Д. Баджелидзе и оперуполномоченным БХСС ЛОВД г. Батуми майором милиции Г. Долидзе был задержан житель Чечено - Ингушской АССР Аслан Ц., у которого было изъято 2 кг 627 г наркотического вещества марихуана, которое он вез для реализации.

Проводится определенная работа и по изъятию огнестрельного оружия и выявлению фактов его незаконного ношения. Например, 24 июня сотрудниками ОУР ЛОВД на ст. Самтредиа (начальник подполковник милиции В. Схиладзе) оперуполномоченным капитаном милиции Г. Гвазава и младшими инспекторами ОУР старшинами милиции Д. Минашвили и З. Гиоргадзе в поезде Москва—Тбилиси был задержан житель Армянской ССР Шамиль Р., у которого обнаружен и изъят револьвер системы «Наган» с 36 патронами. Всего сотрудниками уголовного розыска управления за шесть месяцев 1990 года было выявлено 32 факта незаконного ношения огнестрельного оружия. Следует отметить обнаружение и изъятие группой, которую возглавлял капитан милиции Г. Гвазава, 3-х револьверов.

Сотрудниками отдела уголовного розыска ГУВДТ (начальник — подполковник милиции А. Гиоргидзе) начальником отделения ОУР ЛОВД на ст. Тбилиси капитаном милиции А. Какауридзе, старшим оперуполномоченным УР капитаном милиции Ш. Маглакелидзе и оперуполномоченным УР капитаном милиции Т. Ахвледиани проведенными оперативными мероприятиями только в июне месяце было обнаружено и изъято 15 взрыв-пакетов, 4 боевые гранаты, 5 дымовых шашек, 5 ракетниц, 1 штык-нож, сигнальная граната и др.

28 июня на ст. Самтредиа в поезде Москва — Ереван старшим оперуполномоченным УР ЛОВД старшим лейтенантом милиции Д. Джанелидзе у жителя Армянской ССР было изъято 8 баллончиков химических отравляющих веществ «СИ-ЭС». Отличились и сотрудники ЛОВД аэропорта г. Тбилиси (начальник — подполковник милиции Т. Тутберидзе) начальник отделения досмотра майор милиции Г. Беденашвили, сержанты милиции Г. Самсония, Г. Гулашвили, Г. Чадунели, милиционеры ППС, обслуживающие территорию аэропорта, младший сержант милиции Л. Нозадзе и старший сержант милиции Г. Бадридзе, чьими оперативными действиями 6 и 7 июня 1990 г. в аэропорту г. Тбилиси были задержаны жительница г. Бреста Лейла К. и житель г. Москвы Василий К., у которых было изъято 3 баллончика с веществами «СИ-ЭС».

В этом полугодии усилилась борьба и с хищениями грузов на железной дороге. Только сотрудниками ОБППГ ЛОВД на ст. Тбилиси (начальник — майор милиции А. Ахалая) выявлено 42 факта хищения грузов, возбуждены уголовные дела в отношении 100 человек, из которых — 15 сотрудников железной дороги. У преступников изъято различных товаров на сумму 300 тысяч рублей.

Постоянная работа ведется по борьбе со спекуляцией и хищением социалистической собственности (начальник отдела БХСС—полковник милиции Д. Гурамишвили). В результате проведенных мероприятий изъято похищенных 1.120 литров коньячного спирта, 197 пар женской обуви, 3.951 фальшивых бутылок коньяка и др. По всем выявленным фактам возбуждены уголовные дела и ведется следствие.

Коллектив управления сейчас делает все возможное, чтобы и во втором полугодии не снижать активности, качественно обеспечивать правопорядок и законность на железнодорожных магистралях республики.

Записал **А. МАЛАЯНЦ.**

## СОВЕТСКАЯ МИЛИЦИЯ

**ВЫШЕЛ** в свет очередной номер журнала «Советская милиция», многие материалы которого посвящены 120-летию со дня рождения В. И. Ленина. Этой теме посвящены предисловие к номеру А. Григорьева, статья кандидата юридических наук старшего преподавателя Академии МВД СССР А. Борисова «Выбор», опубликованные под рубрикой «Уроки Ленина» публицистические заметки А. Ермолаева «Прошлое беззащитно», письмо в редакцию полковника милиции в отставке А. Кормилицина «Я вступал в ленинскую партию!» и др.

В номере напечатаны также полемические заметки о перестройке и текущем моменте таких стоящих на диаметрально противоположных позициях личностей как старший преподаватель Ленинградского технологического института им. Ленсовета Нины Андреевой и ректора Московского историко-архивного института, профессора, доктора исторических наук, народного депутата СССР Юрия Афанасьева.

Под заголовком «Анатомия коррупции» публикуется беседа с руководителем группы института социологии Академии наук СССР доктором философских наук В. Роговиным.

# Летние маршруты самодеятельных коллективов

**НЕСМОТРЯ** на определенное ухудшение условий для творческой деятельности, художественные коллективы МВД Грузии продолжают благородное дело нравственно-эстетического воспитания сотрудников и членов их семей, пропаганду необходимости всестороннего гармонического развития личности, приобщения к прекрасному, вечному искусству, культуре, традициям народа.

Уже стало традицией выступление самодеятельных артистов в системы МВД ГССР в летние месяцы не только перед своими коллективами, но и перед жителями и отдыхающими в разных регионах республики.

В мае-июле текущего года коллективы художественной самодеятельности органов и подразделений министерства приняли активное участие в проводимых на местах мероприятиях. С обновленными программами предстали перед зрителями городов Тбилиси и Рустави коллективы ДК им. Ф. Э. Дзержинского МВД ГССР: детский ВИА «Манси» (рук. Г. Гогнашвили), хореографический ансамбль грузинского народного танца «Накадули» (рук. Ш. Кобешавидзе), ансамбль танцев народов мира «Дружба» (рук. Ф. Улицкая), ВИА «Экипаж» (рук. майор милиции С. Егинов), мини-театр сатиры и юмора «Аншлаг» (рук. В. Хелашвили), ансамбль грузинского народного танца «Мхедрули», отмечающий свой полувековой юбилей под бессменным руководством своего создателя— народного артиста Грузии М. Кобешавидзе и под руководством заслуженного деятеля искусств республики полковника милиции Г. Кобешавидзе.

А детский хореографический ансамбль «Халиси» при УВД г. Сухуми с особым чувством ответственности выступил в санатории «Агудзера» (Гульрипшский район) перед пострадавшими во время аварии на АЭС в г. Чернобыле. В рамках проводившегося 20 июня нынешнего года общеевропейского праздника музыки ВИА «Экипаж» в клубе Батумского морского пароходства дал концерт для отдыхающих детей из зоны чернобыльской катастрофы. С выездными концертами коллектив выступил также перед работниками Хулойского филиала Батумской швейной фабрики, Гонийского цитрусового совхоза. Параллельно, при содействии сотрудников политотдела МВД Аджарской АССР члены ВИА «Экипаж» ознакамливались с историческими памятниками, культурой, бытом жителей этого прекрасного уголка Грузии.

В настоящее время в системе МВД ГССР изыскиваются и применяются новые формы, методы деятельности художественных коллективов. ВИА «Закон вечности» (рук. — ст. сержант в/с О. Абуладзе) при МВД Аджарской АССР с 1989 года, перейдя на хозрасчет, в соответствии с заключенными договорами, проводит концерты в санаториях, домах отдыха, других оздоровительных центрах региона. Вокальное трио «Батуми» при Батумском ГОВД в составе подполковника милиции Т. Мжаванадзе, капитана милиции А. Днасамидзе и М. Камададзе, ознакомив с грузинскими песнями в своем исполнении жителей городов Турции, в июле т. г. в составе делегации самодеятельных артистов участвовали в концертах недели советского искусства в Тунисе и Марокко.

В эти дни ансамбль грузинского танца «Мхедрули» участвует в IV Всемирном конкурсе народного танца и в 29-м интернациональном фестивале, проходящем в турецком городе Бурса.

Пожелаем же всем — и нашему самому знаменитому, и менее известным коллективам художественной самодеятельности МВД ГССР творческих побед и успехов в деле пропаганды самобытного искусства народа Грузии, укрепления человеческого взаимопонимания и взаимоуважения.

**В. ТАТАЕВА,**
**капитан в/с, старший инструктор политотдела МВД ГССР по культмассовой работе.**



**НА СНИМКЕ: ВИА «Экипаж» на гастролях в г. Батуми.**

## ЗАРУБЕЖНЫЙ КАЛЕЙДОСКОП

### «ЧИСТИЛИЩЕ» ДЛЯ МАФИИ

**ПОЛИЦИЯ** Бразилии раскрыла крупнейшую за всю историю этой страны валютную махинацию, в которой оказались замешаны 14 местных банков, в том числе крупнейший национальный частный банк «Бамериндус» и его нью-йоркское отделение, а также филиал английского «Ллойдз банк» и 4 других иностранных финансовых конгломерата. Путем подлога экспортно - импортных лицензий, выдаваемых правительством при осуществлении внешнеторговых сделок, эти банки «отмывали» деньги, получаемые от наркобизнеса за пределами Бразилии. Они также участвовали в спекуляции долларами на «черном рынке». Эти махинации осуществлялись с 1987 года. В результате их мошенники получили 360 млн. долларов прибыли.

### ПОХИЩЕНО С ВОЕННЫХ СКЛАДОВ

**С 1982 ГОДА** по настоящее время с военных складов в Норвегии похищено свыше 500 единиц огнестрельного оружия, 30 гранатометов, 228 ручных гранат, большое количество разнообразных взрывчатых веществ и патронов. Приблизительно столько же оружия потеряли и солдаты войск территориальной обороны, пишет газета «Арбейтербладет».

სპორტი •••••••••••••• СПОРТ •••••••••••••• სპორტი

## ეროვნული თასის გათამაშება



**8 ივლისს** თბილისის „შევარდენი — 1906"-ისა და გალის „მზიური" — მატჩით დაიწყო რესპუბლიკის თასის გათამაშების მეთექვსმეტედ — ფინალური ეტაპი ფეხბურთში. „შევარდენი — 1906"-მა დაძაბულ ბრძოლაში — 4:3 სძლია „მზიური". 4 ივლისს თბილისის ეროვნულ სტადიონზე თბილისის „იბერია" შეხვდა ადგილობრივ „კრწანისს". შეხვედრა დამთავრდა იბერიელების გამარჯვებით 3:2. გოლები: გურული 10 და 80 წთ. — 11-მეტრიანი ჯიშკარიანი — 56 წთ; მერეჩკო — 45 წთ, ბაბუნაიძე — 62 წთ.

**ა. მალაიანცი.**

* * *

**სურათზე:** ეროვნული თასის გათამაშების ერთ-ერთი მატჩის მომენტი.

თბილისის „იბერია" და თბილისის „კრწანისი".

— **ეზრე** იყოს! დიდი თავპატიკი არ გაუდვია ბერიკაცს. — მე მწვადებს მივხედავ!

— კაი აზრია! — მოჰრა რომანმა.

ქვის კიბე.

პატარა, მყუდრო აივანი.

ქალები.

ყავა ნამცხვარი. ზოგიერთი სიგარეტს აბოლებს.

უცხო მამაკაცის გამოჩენა არ აკვირვებთ. ეტყობა — მიჩვეულნი არიან უცხოთა სტუმრობას.

საერთო სალამი.

კითხვის ნიშნად ქცეული სახეები.

ვითომ ქალები არ მიიწვიეს მაგიდასთან?

შედის.

დამძიმებული ჰაერი და თამბაქოს კვამლი.

არეული ლაპარაკი. აქა-იქ თავდაუდგმელი ღიღინი.

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს? — დაიძახა ვიღაცამ.

ბარბაცებს მაგიდა.

ფაიკას ვეება ყანწი უჭირავს.

ტანილი განაჩენის [illegible]

ფაიკას სახე გაუქვავდა:

თვალებმა ცივად გამოანათეს.

— ვინა ხარ?..

— რომანი ვარ... გვენცაძე!

მე არ გიცნობ.

— სამაგიეროდ მე გიცნობ.

— კაცო! შარზე ხარ? — ხელის მოცილება სცადა ფაიკამ.

წამოდგა.

სუფრასთან მსხდომნი დაიძაბნენ.

შეწყდა ღიღინი.

ჩამოწვა სიჩუმე.

სახლი ალყაშემორტყმულია! — თქვა ჩუმად რომანმა — მომეცი იარაღი! — და ვიდრე ფაიკა რამეს მოიფიქრებდა, რომანმა თვალისდახამხამებაში ამოუღო ჯიბიდან იარაღი. — გვაქვს კიდევ რამე?

დაბნეულმა ფაიკამ თავი გააქნია.

—აბა წამოდი. ოღონდ ფოკუსები არ იყოს!

იგი ჩაფიქრებული მიყურებს. რა უეცრად მოეჭმუჭნა მოსინათლებული შუბლი. ისევ წაეტანა სიგარეტს. გაიწკაპუნა სანთებელამ ხმაურიანი

**გიორგი სანადირაძე**

# პრძალეული თამაშები

უცდის როდის დაამთავრებს თამადა სადღეგრძელოს, რომანმა ვიღაცას მიაჩეჩა დოქი.

ფაიკა კართან ზის ზურგით.

რომანი მის კეფას ხედავს.

დაყოვნების დრო არაა..

დაიხარა. ფაიკამ მისკენ დახრილი მამაკაცის სუნთქვა იგრძნო არც შემკრთალა.

რომანმა მხარზე დაადო ხელი და წასჩურჩულა.

— ფაიკა ფხაკაძე! უხმოდ ადექი და გარეთ გამომყევი! თორემ...

სუფრა მზერად იქცა. ფაიკამ ნებისყოფამ უმტყუნა, ფერი დაეკარგა ამას ყველა მიხვდა.

რომანი გასწორდა, მაგრამ მისი ვეება ტორი ისევ იდო ფაიკას მხარზე.

— რა მოხდა? — ამღვრეული თვალებით ამოხედა ფაიკამ. ტანმა უგრძნო — სასიკეთოდ არ უნდა მოსულიყო ეს მთასავით კაცი. პირველი იმპულსი: იარაღი! იარაღს იარაღით უპასუხოს! ტანდათან დაუღაგდა სახე — დიდი ხანია ელოდა ამ წუთს. მაგრამ არა ასე საჯაროდ, არა ახლობელთა თანდასწრებით.

დაუნდობლობითა და ვერაგობითაა ფაიკა განთქმული.

როცა გელაპარაკება, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს თითონ ნიღაბის იქითაა დამალული და ნამდვილი სახის გამოჩენა არ უნდა. ასე იქნება მრავალსახეობის ილუზია. გულისჯიბე თითქოს აწვა პისტოლეტმა. არა, ამოღებას ვერ მოასწრებს, რაღაც უნდა იღონოს... მაგრამ რა?... აი, წამით რომ მოადუნებდეს უცნობის ყურადღებას?!.

— ჩემი თავი გენაცვალოს ჯიგარ, ღიმილად იქცა ფაიკა. — მაგრამ ჯერ სუფრასთან გვეწვიე. ერთი ჭიქა დაგვილიე. ქართველი კაცი ჩანხარ. ქართულ სუფრას ნუ გაგვილანძღავ...

რომანმა ისევ დახარა მისკენ თავი.

— შენ არ უნდა იჯდე ქართულ სუფრასთან! შენ სხვაგან უნდა იჯდე ჯიგარ! — სიტყვა „იჯდე" ისეთნაირად წარმოსთქვა, რა მიხვდრა უნდოდა — დიდი ხნის წინათ გამოამოსუნთქვა. რაღაცნაირი ჟინი ახლავს ნაფაზს. ბეცი! — აი ვინ გამოიწვია მისი აფორიაქება. ბოლმას თითქოს არე არ ყოფნის მის ვეება სხეულში. იკუმშება მუშტი. მაგრამ ეს რამოდენიმე წამს გრძელდება მხოლოდ. გარეწრის ხსენებით გამოწვეული რეაქცია ნელდება. ჰო, იგი უსათუოდ უნდა დასჯილიყო! მაგრამ რა უსასრულოა დროის ეს მონაკვეთი საბოლოო განაჩენამდე!

• • •

**ოპერატიული** ცნობა: ზესტაფონში, შადრევანის წინ, მილიციის მუშაკებთან შეტაკებისას მოკლულ იქნა საშიში რეციდივისტი, საკავშირო ძებნილი ბეცი. რა სწრაფად იტოტება ამგვარი ცნობა. ჩვენში! ტყუილმართლის ათასნაირი ბაფთით გამობმული დაფრინავს, ალვიძებს მომხდარი ამბის დაწვრილებით ჩაწდომის სურვილს.

რომან გვენცაძე... მანქანა, რომელშიც ბეცი იჯდა, დიდი სისწრაფით მოჰქროდა თბილისის მიმართულებით. უცებ გაისმა მუხრუჭების ღჭრიალი. მანქანამ წონასწორობა დაკარგა და გვერდზე გადგა. წინა საბურავებს მავთულები შეეხო! ამასობაში ჩვენც მივადექით უკნიდან. ვიცოდით, — ბეცი საბარგულში იმყოფებოდა! დადგა დიდი ხნის წინათ დაწყებული ოპერაციის გადამწყვეტი წუთი. ჩემს გონებაში ახლაც გუგუნებენ იმ დღის ხმები, შემაშფოთებელი რიტმითა და სევდით გაჯერებული.

...ყველაფერი კი დიდი ხნის წინათ დაიწყო.

...მოსკოვი. ადრიანი დილა. მყუდრო ქუჩა და განმარტოებით მდგარი ლამაზი სახლი. ამ ქუჩაზე ყველაფერი ალექსი ტოლსტოის სახელთანაა დაკავშირებული. დიდი რუსი მწერლის ქვრივი ქალბატონი ლუდმილა შინამოსამსახურეებთან ერთად საუზმობს. მაგიდაზე ჩაი, ვარდის მურაბა. შანეგა მოცხარის სატენით. ვაშლის ნამცხვარი (ამას ქალბატონი ლუდმილა იხსენებს.)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" №№ 19-27.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**


## ОБЪЯВЛЕНИЕ

В соответствии с предложениями ряда учреждений и общественных организаций страны Совет Министров СССР 28 марта 1990 года издал распоряжение № 471-р о сооружении в г. Москве за счет добровольных взносов учебных заведений, трудовых коллективов предприятий и учреждений, общественных и других организаций, а также отдельных граждан мемориального комплекса в честь погибших детей, совершивших ратные и трудовые подвиги в годы Великой Отечественной войны.

МВД ГССР доводит до личного состава цель этой благотворительной акции и объявляет, что все, желающие внести свои личные средства на создание памятника, могут перевести денежные перечисления по адресу:

г. Москва, Фонд на сооружение мемориального комплекса в честь детей войны. Операционное управление при Жилсоцбанке СССР, № ФО 29909, расчетный счет № 700496.



ინდექსი 66629

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კოგალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარა ულის 29. უე 09537